

Lyksor® Micro Silica

მიკროკაჟმიწა ბეტონისთვის, ტორკრეტბეტონისა და დულაბებისთვის

პროდუქტის აღწერა

Lyksor® Micro Silica წარმოადგენს მინერალურ დანამატს, რომლის გამოყენება შეიძლება ჩვეულებრივი და ტორკრეტბეტონისთვის, რაც ზრდის ცემენტის ცომის კუმშვისადმი წინააღმდეგობას, ღუნვაზე სიმტკიცეს, რღვევის მექანიკას და ჰერმეტიულობას, მისი მიკროსტრუქტურის გაძლიერებით.

გამოყენება

Lyksor® Micro Silica-ის გამოყენება რეკომენდებულია შემდეგი შემთხვევებისა და მიზნებისთვის:

- გამოიყენება ტრადიციული და სველი წესით მომზადებული ტორკრეტბეტონის დატანისას.
- გამოიყენება ჩვეულებრივი/მსუბუქი, პლასტიკური/არაპლასტიკური ბეტონის წარმოებაში
- გამოიყენება ბეტონისთვის, რომელშიც ცემენტის შემცველობა დაბალია.
- გამოდგება მაღალი სიმტკიცის ბეტონის პროდუქტისთვის.
- გამოდგება ცემენტის ხსნარით ამოვსების სამუშაოებში.

უპირატესობები და მახასიათებლები

- აუმჯობესებს ყველა ტიპის ბეტონის ტექნიკურ მახასიათებლებს, როგორცაა კუმშვისადმი წინააღმდეგობა, ღუნვაზე სიმტკიცე, რღვევის მექანიკა და ჰერმეტიულობა.
- ამცირებს ქლორიდის შეღწევადობას.
- ამცირებს დამაჩქარებლის გამოყენების კოეფიციენტს ტორკრეტბეტონით შესრულებულ სამუშაოებში, შესაძლებელია მისი სქელ შრედ წასმა, ამცირებს დემპფირების კოეფიციენტს.

მოხმარების წესები, რჩევები და გაფრთხილებები

ბეტონის შემრევ დანადგარში ბეტონის ნარევს ემატება ცემენტის შემდეგ

ტექნიკური მახასიათებლები

ფერი- გარეგნული სახე	ბეტონი – ნაცრისფერი
სიმკვრივე	0,55 - 0,70 კგ/ლ
ქლორიდის შემცველობა	< %0,1
კუთრი ზედაპირი ბლენის მიხედვით	> 15000 მ ² /კგ
SIO ₂ შემცველობა	> %85
CaO შემცველობა	< %1
SO ₃ შემცველობა	< %2
Al ₂ O ₃	< %1
MgO	< %1

აქტიურობის ინდექსი	> %95
კუთრი წონა	2300 კგ/მ ³
გრანულების შემცველობა <0,045 მმ	< %40

რეკომენდებული დოზები

დაბეტონების სტანდარტული სამუშაოებისთვის Lyksor® Micro Silica-ს რეკომენდებული დოზაა ცემენტის მასის 4% - 10%. ჭარბი დოზით გამოყენებამ შეიძლება, გაზარდოს დასაბალანსებელი წყლის საჭიროება წყალმომთხოვნის შემამცირებელი ძლიერი დანამატების Lyksor Nanoment/Nanocast-ის სერიებთან. გასათვალისწინებელია, რომ Lyksor® Micro Silica-ს საჭირო დოზა სასურველი შედეგის მისაღებად განსხვავებული იქნება ბეტონის თითოეული ნარევის შემთხვევაში. შესაბამისი დოზა განისაზღვრება საცდელი ანაზღელების საფუძველზე. გთხოვთ, დაუკავშირდით Lyksor-ის კვლევისა და განვითარების დეპარტამენტს ტექნიკური დახმარებისთვის.

ხელსაწყოების გაწმენდა

ის ხელსაწყოები, რომლებიც გამოყენებული იყო დაბეტონების სამუშაოებში Lyksor® Micro Silica-ის მოხმარებისას, ადვილად იწმინდება წყლით.

შეფუთვა

დიდი ზომის ტომრების შეფუთვა

შენახვა და შენახვის ვადა

ორიგინალ შეფუთვაში და შენახვის რეკომენდებულ პირობებში შენახვისას, Lyksor® Micro Silica-ს შენახვის ვადაა 12 თვე. Lyksor® Micro Silica-ინახება მშრალ პირობებში. ის დაცული უნდა იქნას ყინვის ზემოქმედებისგან. დასველებული და შემდეგ გამშრალი პროდუქტი გამოყენებისას შეიძლება, აღმოჩნდეს ნაკლებ ეფექტური.

უსაფრთხოება და ჯანმრთელობა

კანზე მოხვედრის შემთხვევაში, დაიბანეთ კანი სუფთა წყლით. თვალში მოხვედრისას, დაიბანეთ თვალი სუფთა წყლით. თვალში მოხვედრისას, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ პასპორტი მასალის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ (MSDS).

სამართლებრივი პასუხისმგებლობა

პროდუქტის პასპორტში მოცემული ტექნიკური სახის რეკომენდაციები ემყარება ბეტონის იმ ნარევებზე ჩატარებულ ექსპერიმენტულ კვლევებს, რომლებიც შემუშავდა LYKSOR-ის კვლევისა და განვითარების დეპარტამენტის ლაბორატორიებში. მიღებული შედეგები შეიძლება, არ გამოდგეს ბეტონის სხვა ნარევებისთვის, რომლებიც მიღებულია Lyksor-ის ცდებში გამოყენებული მასალისგან განსხვავებული მასალებისგან. ყველა კლიენტი და მომხმარებელი ვალდებულია, თავად განსაზღვროს LYKSOR-ის შესაბამისი პროდუქცია საკუთარი მიზნებისთვის, და შეამოწმოს LYKSOR-ის პროდუქციის შესაბამისობა თავიანთი საჭიროებისთვის. გთხოვთ, დაუკავშირდით LYKSOR-ს, შესაბამისი პროდუქტის შესარჩევად და მათი მოხმარების წესებზე ინფორმაციის მისაღებად. LYKSOR-ი არ არის პასუხისმგებელი მისი პროდუქტების არასათანადო გამოყენებაზე.